ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 18 1883—1902 30 სექტემბერი

ქართული საეკლესიო კალობის შესახებ.

„ივერიის“ მე № 190-ში ჩვენ ვკითხულობთ შემდეგ საყურადღებო ამბავს ჩვენი ქართული გალობის შესახებ:

„როგორც მკითხველებს ვაუწყებდით, ამას წინად სამს ამ თვეს მოხდა ქალაქის სამღვდელოთა კრება ეპისკოპოზის დიმიტრის თავმჯდომარეობით. კრებამ ერთ ფრიად საგულისხმიერო საგანზედ ჩამოაგდო ლაპარაკი, სახელდობრ იმაზედ, რომ ქართულ ეკლესიებში, სადაც აქამომდე ქართულს ენაზედ გაისმოდა ლოცვა და ღაღადება, ამ ბოლო დროს, სამღვდელოების დაუდევრობით მთლად მოისპო ქართული წირვა-გალობაო. ახლად ნაკურთხმა დეკანოზმა და სიონის საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა, მამა ტყემალაძემ ჯეროვანად განმარტა კრების წინაშე თავის წარმოთქმულ სიტყვაში ეს არასასურველი გარემოება და, სხვათა შორის, ის აზრი გამოსთქვა, რომ დვთის მმართ დადა უველა ენაზედ შეაწირვების (კურსივი ჩვენია) და, აქ მხოლოდ ჩვენი დაუდევრობაა და სხვა არაფერიო. თვით საუსულიერო მთავრობა დიდის სიამოვნებით მიეგებება ამ ჩვენს სურვილს, თუ მოვინდომებთ ქართულ ეკლესიებში ქართულის წირვა-ლოცვის და გალობის გაუმჯობესებას. ამის დასამტკიცებლად მ. ტყემალაძემ მოიყვანა ეპესარხოსად ნამყოფის ფლაბიანეს მიერ დამტკიცებული ოქმი ქართულ საეკლესიო საგალობელ გუნდის დაარსების შესახებ (კურსივი ჩვენია). ხანგრძლივის ბჭობის შემდეგ კრებამ ამორჩია კომიტეტი ქართულ საეკლესიო გალობის გაუმჯობესებისათვის; კომიტეტში ამორჩეულ იქმნენ: ეპისკო-

პოზი დიმიტრი, დეკანოზი ს. შოშიაშვილი, დეკ. ტურიაშვილი და ტფილისის სიონის ტაძრის კანდელაკი მამა ანტონ თოთიბაძე“.

ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ ეხლანდელი ახრჩეული კომიტეტი იზრუნავს როგორც ჯერ-არს ქართული გალობის შესახებ, მაგრამ მარტო კომიტეტის დანიშვნა საქმეს არ მოეხმარება. კომიტეტები მრავალჯერ დანიშნულა, მაგრამ გალობის საქმე წინ კი არა, უკან დაწეულა... რა ჰქნა დიდის ამბით 1860 წელს თფილისში დაარსებულმა ქართულ გალობის აღმადგენელმა კომიტეტმა, რომლის რაიონს შეადგენდა მთელი საქართველოს საექსარხოსო? განა ეს კომიტეტი დამტკიცებული არ იყო სათანადო მართებლობისაგან? განა ამ კომიტეტში დამსახურებული ჩვენი სამღვდელო პირები არ ყოფილან? 1860 წლიდან 1885 წლამდე ყველა კომიტეტის წევრების ნამსახურებით სიას ამშვენებდა შემდეგი სიტყვები: „მოღვაწეობს როგორც წევრი ქართული გალობის აღდგინებისათვის და ირიცხება კომიტეტის წევრად“... ნამყოფმა ექსარხოსად პავლემ მოისურვა ამ კომიტეტის ნამუშევრის და მოღვაწეობის გაგება. მოხდა კრება, რომელსაც დაესწრენ მრავალნი გალობის მოყვარულნი. ერთმა საპატიო პირმა, რომელსაც ანგარიში მოსთხოვეს, ასეთი პასუხი მისცა: „ჩვენ არც ნოტები შეგვიდგენია და არც გალობის გუნდი გვყავს, მაგრამ იმედი გვაქვს, ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი, რომლის ხვედრია საქართველო და წმიდა ნინო, შეგვეწევიან და არ მოსპობენ ქართულ გალობას საქართველოში“. ეს კომიტეტი მოიშალა და მისი წევრები, რომელნიც ზეციდან მოელოდენ დაწერილ ქართულ გალობის ნოტების ჩამოგდებას, დაითხოვნილ იქმნენ და ასეც უნდა მომხდარიყო.

თუ თვითონ საზოგადოებამ არ იზრუნა, რა უნდა ჰქნას კომიტეტმა? განა საზოგადოება ზრუნავს ქართული გალობისათვის? ჩვენი პუბლიცისტები და ჩვენი ესრედ წოდებული მეგაზეთეები, ბევრს გაიძახიან ქართული ენის დასუსტებაზე და დავიწყებაზე, ბევრს სწერენ გალობის მოსპობაზე, დიდი ბაასიც აქვთ იმაზე, რომ ქართული გალობა აღდგინდეს, ბევრს ლაყბობენ და სწერენ იმაზედაც, რომ ბორჩალოს მაზრაში ადგილები სომხებისა და სხვა ტომის ხელში არ გადვიდესო, მაგრამ თავიანთი ადგილები მთლად სახლ-კარიანად სახელმწიფო ბანკებში მიაქვთ დასაგირავებლად, თუმცა დარწმუნებულიც არიან, რომ ერთი წლის შემდეგ ბანკს დარჩება მთელი მისი მამული!..

კმარა ამდენი განგებ თავის მოტყუება! არც ერთ კომიტეტს არ შეუძლია ქართული გალობა აღადგინოს, თუ თვითონ საზოგადოება არ ზრუნავს მის აღდგინებაზე და საშუალებას არ აძლევს კომიტეტს მუშაობისათვის. დღეს განა ჩვენს საზოგადოებაში ბევრია ქართული გალობის მოყვარული და ეკკლესიაში მოსიარულე? განა ზოგიერთ ეხლანდელ ქართველების გულს ქართული გალობა დაატკბობს? როგორც გნებავთ ისე იგალობეთ—მათთვის სულ ერთია! ბანქოს თამაშობაში 1000—2000 მანეთს ადვილად წააგებენ, ერთი ვინმე მოსული, მომღერალი ქალის სიმღერის გასაგონად დიდ ფულს დახარჯავენ და მთელი ღამე მღვიძარებენ, მაგრამ ქართული გალობის აღსადგენად ერთ გროშსაც არ გაიმეტებენ!.. ამისთანა საზოგადოებაში კომიტეტი ქართულ გალობას აღადგენს?!.

რაიცა შეეხება „ივერიის“ მოთხრობას იმის გამო, რომ „ღმერთი ყოველ ენაზე შეიწირავს ლოცვას“, ამის წინააღმდეგ-კი ვერას ვიტყვით. ეს ხომ ნამდვილია და უქადაგებლადაც, მე ვგონებ, ყველამ იცის მაგრამ საქმეს ეს ვერ მოეხმარება...

დეკ. დ. ღამბაშიძე.

პირველი დათვალიერება და რევიზია იმერეთის ეპარქიის ეკკლესიებისა ყოვლად სამღვდელო ლეონიდის მიერ.

გაგრძელება *)

ხონის ეკკლესიიდგან მათი მეუფება წაბრძანდა ლახუნდარის ეკკლესიაზედ. აქაც მრავალი ხალხი დახვდა მათ მეუფებას შეკრებილი ეკკლესიაზედ. ჩვეულებრივი მღვდელ-მთავრის მიღების შემდეგ, მათმა მეუფებამ დაათვალიერა ეკკლესია, რომელიც მშვენივრად მოწყობილი და გამშვენებული ნახა. ეკკლესია ხის არის. ეკკლესიის კანკელი ჩინებული მხატვრობით არის შემკული, რომელიც გა-

*) იხ. „მწყემსი“ № 15—16. 1902 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწერილია რუსეთიდან. მათმა მეუფებამ მოიწონა ერთგულება მრევლისა და გრძელ სიტყვაში აკურთხა მთელი მრევლი ღვთის სახლის შემკობის ერთგულებისათვის. სიტყვაში სხვათა შორის, ამხილა მრევლი, რომ მათში კიდევ მაგრად აქვს ფესვი გადგმული ზოგიერთ ამოად-მორწმუნოებას და ვერ მოუსპიათ კიდევ ისეთი მავნე ჩვეულებანი, რომელნიც მათ ნივთიერად ღუპავენ და დიდ ზარალს აძლევენ.

26 ივნისს სადილად მათი მეუფება დარჩა ადგილობით მღვდლის პორფირე კავილაძესთან. ნასადილევს, ცოტახნის მოსვენების შემდეგ, წაბრძანდა მათი მეუფება სოფ. კიცხს და კიცხის წმიდის გიორგის ეკკლესია დაათვალიერა. აქაც ბლომად მოეყარა თავი მრევლს. აქ ეკკლესია კარგა ხანი დაკეტილი იყო, რადგან უკანასკნელი მიწის-ძვრისაგან დახსნილია და საშიშო მდგომარეობაშია. ამ ეკკლესიის მრევლი ძლიერ გულგრილია საზოგადოდ ეკკლესიის შემკობის საქმეში. მთელს შორაპნის საბლალოჩინო მაზრაში ორი ეკკლესია არის დაშთენილი, რომელნიც მოურთავნი არიან. ერთად ამ ორ ეკკლესიაში ეს კიცხის ეკკლესია არის, რომელშიდაც არავითარი მორთულობა არ არის. სამწუხაროდ მრევლს ისე შეუჩვევია თვალი თავის მოურთავ ეკკლესიისათვის, რომ სრულებით საჭიროდ აღარ რაცხს უკეთესი ეკკლესია იქონიოს. მრევლი მაინცადა-მაინც ღარიბი არ არის თავის მეზობელ მრევლზე. მაგრამ ეკკლესიის გამშვენების საქმეში ასე ჩამორჩენიან სხვებს. აქაც, როგორც სხვაგან, ჩვეულებრივად, მათმა მეუფებამ სიტყვა უთხრა თავ-შეყრილ მრევლს, დაარიგა და განუმარტა მათ ქრისტიანე კაცის მოვალეობა ღვთისა და კაცის წინაშე.

კიცხის სოფლიდან მათი მეუფება წაბრძანდა ს. ვარძიაში, მაგრამ ამ სოფელში გვიან მიბრძანდა. მეორე დღეს მათი მეუფება მწირველი ბრძანდებოდა ვარძიის ეკკლესიაში. ღამის გასათევად მათი მეუფება მიპატიჟებული ბრძანდებოდა მღვდლის დავით ანთაძისას. მეორე დღეს, 27 ივნისს, მათი მეუფება წირვას შეუდგა ცხრა საათზე. ყოვლად სამღვდელოსთან თანამწირველი იყო ადგილობითი ბლალოჩინი და მღვდლები. წირვის გათავების შემდეგ, რადგან ხალხი მეტად ბევრი შეიკრიბა, მათი მეუფება გარედ ეზოში გამობრძანდა და იქ უთხრა მრევლს შემდეგი საყურადღებო სიტყვა:

„ძმანო ქრისტიანენო! ძლიერ სასიამოვნოა, რომ თქვენ თითქმის მთელი მრევლი შეკრებილხართ დღეს წირვის მოსასმენად სხვა დროს, რასაკვირველია, ამდენი არ შეიკრიბებით. მაგრამ დღეს ალბად მიტომ მოხვედით ეკკლესიაზედ, რომ გენახათ ახალი მღვდელთ-მთავარი და მოგესმინათ მისგან მოძღვრებითი სიტყვა. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ რა უნდა გითხრათ იმაზე მეტი, რასაც თქვენ გეუბნება ეს დიდებული ეკკლესია, ეს მშვენიერი ნაშთი ჩვენ ძველ წინაპართაგან დატოვებული? განა კაცის სიტყვას შეუძლია ჩაგონოს ის, რასაც ჩააგონებს ყოველივე, რასაც ვხედავთ აქ? რას გვეუბნება ეს დიდებული ეკკლესია ჩვენ? ყოველი კაცი არა ქრისტიანიც-კი მიხვდება, თუ რა მხურვალე სარწმუნოებით იყვნენ ჩვენი ძველები აღჭურვილნი. იგი-ნი მზად იყვნენ მთელი თავისი ქონება ეკკლესიების აღშენებისა და შემკობისათვის მოეხმარებინათ, მზად იყვნენ თავისი ძვირფასი ამკაულობა გაეყიდათ და ღვთის სათნო საქმეზედ მოეხმარათ. ეკკლესიის საქმეში მათ არ აბრკოლებდა არაფერი. ყველამ იცის, რომ პატარა საქართველოს გარს ეხვია მტრები და განსვენებას არ აძლევდენ. მაგრამ მორწმუნე ქართველი ერი ამით მაინც არ ბრკოლდებოდა ეკკლესიების და მშვენიერი ტაძრების შენების საქმეში. ეს ეკკლესიები დღესაც მოსჩანან თითქმის ყოველ მთის მწვერვალზედ. ძველ ქართველებს ერთ ხელში რომ მტრის მოსაგერებელი იარაღი ეჭირათ, მეორეთი ეკკლესიის ასაგები მასალა მოჰქონდად და ამნაირად ღვთის ტაძრებს აშენებდენ. აიღეთ თუ გინდ ეს დიდებული ტაძარი, რომელიც მშვენიერის გეგმით ასე მტკიცედ სდგას. მართალია, ტაძარი არ არის დიდი, მაგრამ იმ დროისათვის, როდესაც იქნება აქ ხალხი იყო მხოლოდ 60—70 კომლი, მათთვის სრულებით საკმარისი იყო ეს პატარა ეკკლესია თავისი განცალკევებული სამრეკლოთი. პატარა ეკკლესია სამრეკლოს ძირა სართულში ცხადათ ამტკიცებს, რომ აქ სრულდებოდა წირვა ორ გზის, ერთი დილით ადრე და მეორეც გვიან. ერთი სიტყვით კაცის უთქმელად ყოველივე, რასაც-კი აქ ვხედავთ, ცხადად და აშკარად გვეუბნება, თუ რა მხურვალე სარწმუნოებით, სასოებით და ღვთის სიყვარულით იყვნენ გამსჭვალულნი ჩვენი წინაპარნი და რა ერთგულებით შრომობდენ თავიანთ ტაძრების აშენებისა და ძვირფასად შემკობისათვის. აი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას მოგვითხრობს ეს დიდებული ძველი ეკკლესია ჩვენ ძველ წინაპრებზე, რომელთაც იგი ააშენეს. მაგრამ ამავე დროს ეს ტაძარი ცხადად და აშკარად გვეუბნება იმასაც, თუ როგორი ქრისტიანენი არიან ამ ტაძრის დღევანდელი შემომავალნი. მცირე მრევლი ეკკლესიას იკეთებდა იმ ზომისას, რომელშიაც თვითონ მოთავსდებოდა; დიდ ეკკლესიას არ აკეთებდენ, რადგან ალბად ჰფიქრობდენ, რომ მათ შემდეგ გამრავლებული ხალხი აღარ იკმარებდა პატარა ეკკლესიებს. ალბად ეგონათ, რომ მათი შთამომავლობა უკეთესს ტაძრებს ააშენებდა და უმჯობესადაც მორთავდა. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ 60—70 კომლისაგან აგებული ეკკლესიის მშვენიერი გუმბათიც კი ვერ დაუხურავს 450 კომლ შემავალ მრევლს და ასე გულ-საკლავად სამრეკლოის და ეკკლესიის გუმბათს თითქმის თავ-გადახდილს უყურებს. არ ზრუნავს, რომ ყავრით მაინც დახუროს, რომ წყალი არ ჩავიდეს ეკკლესიაში და ეს მშვენიერი ეკკლესია არ გააფუჭოს. როგორ შეეძლოთ წარმოდგენა ჩვენ წინაპრებს, რომ ამდენ მრევლს ისე გაუგრილდებოდა გული, რომ გუმბათის დახურვასაც არ მოიწადინებდნენ!.. რომ მართლა ისეთი საძნელო რამ იყოს ამ ტაძრის გუმბათის და სამრეკლოის დახურვა, მაშინ ჩვენც არას ვიტყოდით, მაგრამ ის არის სამწუხარო, რომ თქვენი სახლების დასახურავად არაფერი დაგიზოგავთ, კარგად დაგიხურავთ და ეკკლესიისათვის კი სრულებით არ გიზრუნიათ. განა დიდ ხარჯს მოგცემდათ ამ ეკკლესიის გუმბათის და სამრეკლოის დახურვა? დარწმუნებული ვარ და ვერც თქვენ იტყვით უარს, რომ ამ ეკკლესიის გუმბათის დასახურავად საკმაო არის 450 ღერი ყავარი, რომელიც უხვად მოიძებნება თქვენსავე სამრევლოში. მაშასადამე თითეულს კომლს რომ თითო ღერი ყავარი მოეტანა, სრული საკმაო იქნებოდა დასახურავად. მაგრამ არც ერთს ამაზე არ გიფიქრიათ, არც ერთს არ მიგიქცევიათ ყურადღება ამ ნაკლისათვის. სრული დარწმუნებული ვარ, რომ აქ შემთხვევით მოვიდეს ურია, თათარი ან სხვა ვინმე კაცი—სხვა აღსარებისა, ისიც კი ურჩევს საზოგადოებას ამ ეკკლესიის გუმბათის დახურვას, ისიც კი არ დაიშურნებს ერთი ღერი ყავრის მოტანას, და თქვენ, რომელნიც ქრისტიანებად იწოდებით, რომელნიც ყოველ დღეს ხედავთ თქვენი ეკკლესიის გუმბათს ამნაირ მდგომარეობაში, როგორ არ იზრუნეთ და არ დახურეთ იგი დღემდის. ჭეშმარიტად სასირცხო და სამწუხარო არის ეს თქვენთვის. და ღმერთმან ნუ ჰქმნას თქვენ შორის ასეთი დაუდევნელობა თავიანთ დედა ეკკლესიის შეკეთების და გამშვენების შესახებ“.

მათი მეუფების ამისთანა მგრძნობიარე სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მრევლზე და მაშინვე შეუდგენ თადარიგს ამ ნაკლის შესავსებლად. ხალხის კურთხევის შემდეგ მღვდელ-მთავარი წაბრძანდა ვარძიის ეკკლესიის მღვდლის დავით ანთაძესთან, რომლისაგანაც სადილზე იყო მიპატიჟებული. სადილობის და მცირე მოსვენების შემდეგ, მათი მეუფება წაბრძანდა ხიდრის წმიდა გიორგის ეკკლესიაზედ. აქ მას მიეგება ადგილობითი მღვდელი ი. ბერაძე. ეკკლესია ხიდარში არის ახალი ქვითკირის თლილი ქვისა. ეკკლესია ჯვრის გეგმით არის აღშენებული, სრული და მშვენიერად მორთული მხატვრობით. ჩვეულებრივის მღვდელ-მთავრის მიღების შემდეგ, მათმა მეუფებამ დაათვალიერა ეკკლესია და მოიწონა. ტრაპეზიდან გამობრძანდა ამბიონზე და შეკრებილ მრევლს უთხრა მოძღვრება:

მადლი უფლისა ჩვენისა იესო
ქრისტესი იყავნ თქვენთანა.

სჩანს თქვენ და თქვენს წინაპრებს ბევრი უმეცადნიათ, ბევრი უშრომიათ, რომ ამისთანა დიდი და კარგი ეკკლესია აღუშენებიათ და კარგადაც შეუმკვიათ. ძვირფასია ამისთანა შრომა კაცისა, საქები და სამაგალითო მრევლის ამისთანა სიყვარული ღვთის სახლისა. კაცი უკეთესს, უძვირფასეს სიმდიდრეს ვერას დაუტევებს თავის შვილებს, მომავალ მოდგმას. ვგრძნობ კარგად თუ რამდენი შრომა, რამოდენი გაჭირვება და ფასი დასჭირდებოდა აღმაშენებლებს ამოდენა ეკკლესიის აღშენებისათვის. რით გადაუხდით თქვენ ამ შრომას აღმშენებელთა, რით გადაიხდით თქვენ აღმშენებელთა იმ ამაგს, რომელიც მათ აღმოგიჩინეს ამისთანა კარგი ტაძრის აგებით? მრავალნი აღმშენებელნი დღეს განისვენებენ და თქვენგან იგინი აღარას საჭიროებენ. მაგრამ თქვენ ეხლაც შეგიძლიათ გარდაუხადოთ მათ მათი ამაგი. თუ თქვენ ისარგებლებთ ამ ტაძრით ჯეროვანად, ივლით და ისმენთ მას შინა აღსრულებულს წირვა-ლოცვას, ისმენთ ღვთის სიტყვას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სახარებას, დაინერგავთ გულში იმ სწავლა-მოძღვრებას, რომელსაც აქ თქვენი სულიერი მოძღვარი მოგითხრობსთ და ქრიტეს მცნების თანახმად მოიქცევით ამ მვეყნიურ ცხოვრებაში და ამასთან თუ ილოცავთ აღმაშენებელთა სულის ცხოვნებისათვის, მაშინ თქვენგან ღირსეულად იქმნება დაფასებული აღმაშენებელთა შრომა და ღვაწლი, ღირსეულად იქმნება დაფასებული მათი ამაგი და ღმერთიც თქვენი შემწე იქმნება ყოველს დროს თქვენს ცხოვრებაში; იგი აკურთხევს თქვენს შრომას". და შემდეგ სხვა-და-სხვა დარიგებათა, მათმა მეუფებამ დააბოლოვა თვისი, გრძნობით სავსე სიტყვა: „ვეველრები უფალსა, რომ მან მოგანიჭოსთ თქვენ მადლი და კურთხევა და აგაშოროსთ თქვენ ყოველსა გაჭირვებასა და ცუდ საქმესა". შემდე მათმა მეუფებამ აკურთხა მრევლი თვითეულად და ღამის გასათევად წაბრძანდა ადგილობითი მღვდლის იათეოზ ბერაძესთან.

28 ივნისს დილის რვა საათზე წაბრძანდა მათი მეუფება ილმის ღვთის-მშობლის ეკკლესიის დასათვალიერებლად, რომელიც ხიდარს შორავს სამი ვერსით. ამ ეკკლესიის ეზოში შეკრებილიყო თითქმის მთელი მრევლი. ჩვეულებრივ მღვდელ-მთავრის მიღების შემდეგ, მათმა მეუფებამ დათვალიერა ტაძარი, რომელიც ღარიბულად არის მორთული. მათმა მეუფებამ მრევლს ამბიონიდან უთხრა სიტყვა, რომელშიაც განუმარტა მათ მოვალეობა ჭეშმარიტი ქრისტიანე კაცისა. ბოლოს აკურთხა თითეულად ყველანი და წაბრძანდა ხარაგაულის საბლაღოჩინო ოლქის ეკკლესიების დასათვალიერებლად. ათი შტატი შორაპნის საბლაღოჩინო მაზრისა დარჩა, რადგან ხარაგაულის საბლაღოჩინო ოლქი ილმის სოფლიდან იწყება და უფრო საადვილო იქნებოდა მათი დათვალიერება შემდეგ ხარაგაულის ეკკლესიების დათვალიერებისა.

დეკ. დ. დამ—ძე.

(გაგრძელება იქნება).

---

† მღვდელი ნიკოლოზ ძიმისტარიშვილი.

(ნეკროლოგი)

აგვისტოს 31-ს რიცხვს სოფელ კვაუთის (სენაკის მაზრა) მთავარ ანგელოზის ეკკლესიის გალავანში დაასაფლავეს გვამი მიცვალებულის მღვდლის ნიკოლოზ ძიმისტარიშვილისა, რომელიც უკანასკნელ დრომდე მსახურებდა მისს საყვარელს ეკკლესიაში წმიდად და ღირსეულად. წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებელად შეასრულეს დეკანოზმა გ. ბერიძემ, ბლაღოჩინმა კ. ჩაჩიბაიამ, მოძღვართ-მოძღვარმა მღ. მ. ანჯაფარიძემ, მ. გოგინვამ და სხვა მრავალ სამღვდელოების თანადასწრებით. ანდერძის აგების შემდეგ, ამავე სამღვდელოებამ გამოასვენა გვამი მამა ნიკოლოზისა და დაასვენეს სასაფლაოზედ. ბევრი ცრემლი დაიღვარა მისი ცხედრის წინაშე. სიყვარულით აღგზნებულ მისდამი სამწყსო ამბორებითა და თაყვანებით გამოეთხოვა თავის საყვარელს მოძღვარს. განსვენებული მამა ნიკოლოზი კარგა ღრმა მოხუცებული იყო და დიდის ხნის ნამსახურიც ამა სოფლის შტატში. იგი იყო პატიოსანი მოძღვარი, უბრყვილო და ბეჯითი მსახური ქრისტეს ეკკლესიისა. განსვენებულის ცხედრის წინ გრძნობით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა თ. როსტომ ლევანის ძე ჩიქოვანმა. აი ეს სიტყვა:

„მაღალ-ღირსო და დაუვიწყარო მოძღვარო, მამაო ნიკოლოზ! დადუმდა სიმართლის მეტყველი შენი ენა, დადგა ამიერიდგან მსხვერპლის შემწირველი პატიოსანი მარჯვენე შენი, მოეკვეთნენ სიკეთეზედ მავალნი ფერხნი შენნი; შესწყდა შენში მგრძნობელის გულისა ცემა, რომელიც იყო გამსჭვალული განუსაზღვრელის სიყვარულითა შენის სამწყსოისადმი, და აჰა უგრძნობი და უგულო მიწა გარდაფარავს ბნელსა და ცივს საბანს განსახრწნელად შენს პატიოსანს გვამს, რომელსაც ჩვენ ვაფრქვევთ მდუღარე ცრემლს. გარნა, მოძღვარო, სამაგიეროდ შენ მოგებული გაქვს გული ყველა შენის სამწყსოისა, ნათესავთა, ამხანაგთა, მეგობართა, შენის მადლიანის ხელით აღზრდილთა და ნაცნობთაცა, რომელნიც თანასწორად შენის ოჯახისა დღეს შთავარდნილან ამა უზომო მწუხარებასა შინა. მამაო ნიკოლოზ! შენ არ იყავი „სწავლით განათლებული",

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ იყავ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ხანებში შინაურულად, ძველებურად მომზადებული; სიყრმიდგანვე შთანერგილმან გულსა შინა შენსა სარწმუნოებრივმა ძალამ, ზნეობრივად განგინათლა გული და განგიმტკიცა ჭეშმარიტი სულიერი კეთილ-მორწმუნეობა ყოველსა ჟამსა მსახურებისა შენისასა აქამომდე. არა ამოდ გვასწავებს მოციქული პავლე: „მხნე იყვენით და განძლიერდით“ (ა. კორ. იდ.). დიახ, მამაო! შენ იყავი მხნე და ძლიერი ქრისტეს მცნების მსახურებაში პატიოსანის ცხოვრებით, სარწმუნოებით, სასოებით, სიყვარულით, სიმშვიდით, მართლ-მოყვარეობით და სხვა მრავალი კეთილი მხრით და ესე ყოველი განამშვენებდენ მღვდელმსახურებასა შენსა და სარბიელსა ცხოვრებისა შენისასა ამა ქვეყნად. ამისათვისაც ღირს იქმენ და წილად გერგო შენ გეგემებინა ეგოდენ სიმხნით და ძლიერებით კეთილ-მსახურებითი ცხოვრება ამ ქვეყნიურ დროის განმავლობაში—თითქმის ერთის საუკუნესი.

ღირსო მამაო! ნეტავი შეგეძლოს ერთის წამით მაინც, გადმოხედო შენს მოყვარულთ და პატივისმცემელთ სასულიერო და საერო პირთ, რომელნიც შემოკრებილან ამა შენის ცხედრის წინაშე მხურვალე ცრემლთა დენით, რათა მოგიძღვნან უკანასკნელი მადლობის სალამი ღირსეულს მოძღვარს! მაშინ დარწმუნდები, თუ რაოდენ საყვარელ ხარ ყველასათვის, რაოდენ სამწუხარო და საგრძნობელ არს შენი მოშორება ჩვენთვის და რაოდენ კეთილნაყოფიერ არს ჭეშმარიტი სულიერი სიყვარულის განმტკიცება მოძღვრისა და მისის სამწყსოის შორის. გიხაროდენ, მამაო ნიკოლოზ, რამეთუ ესრედ ყველასთან და ყოველსა შინა მიგიძღვის ღირსეული კეთილ-მსახურება, რომელი სათნო გეყოფის შენ ადგილსა მას განსასვენებელსა, სადაცა მიგელის აწ სამყოფელი ნებისაებრ მღვთისა. ოჯახმა შენმა შენის დაკარგვით დაობლებულმა, გულ-დაჩაგრულმა, მტირალმა, რით შეიმშრალოს ესოდენ მდულარე ცრემლი? ღვთის განგების მორჩილებითა და იმ სიყვარულით და პატივისცემით, რომელსაც დღეს აღმოუჩენენ მათ მიცვალებულს მისი სულიერი შვილები, თანამოძმენი და ყველა მოყვასნი. ჭეშმარიტად სანუგეშოა ეს ჭირისუფალთათვის და თქვენც ინუგეშეთ, ვინ-ც ასე იგლოვთ მამა ნიკოლოზის განსვენებასა. მადლობას ვსწირავ შენს მამობრივს სიყვარულს, დაუვიწყარო მოძღვარო, და ამა გრძნობით აღსავსე—მუხლმოყრილი ამბორს ვყოფ შენს პატიოსანს ცხედარს. ვევედრები მოწყალესა ღმერთსა, რათა სიტყვისაებრ მისისა განგისვენოს შენ ადგილსა ნათლისასა, ბრწყინვალესა, სადაცა მართალნი მკვიდრ არიან“.

ასე, ესრედ გულით მტირალი სამწყსო გამოეთხოვა თავის საყვარელს მოძღვარს, და გვამი მიცვალებულისა საფლავს მიაბარეს.

დამსწრე.



მუზას.

შეიტკბო გული შენმა სიახლემ,
აღმიფრთოვანა სიბრძნის ნაწილი,
მიმმართა გზასა სიწრფელისასა,
სულიერ ზრდაში დამიდო წილი.

—

ვცდილობ, ვიუნჯებ, იმაზე ვაზრობ,
როს მევლინება შენგნით ფრაზები,
რომ ჩემსა ნაკლმს შენგნით შთანაბერს
აჩნდეს სიმართლის ნამდვილ ხაზები.

—

ეს ხაზი არის საღმრთო ღაღადის,
მის ფრთეთა ქვეშე ნეტარ შეხიზნვის,
და შეძლებისა ჩემისა გვარად
დამსურათებელ სპეტაკი მიზნის.

—

სამოქალაქოც ჩვენი ვალია
ზენა ნამცნები ჭეშმარიტება,
ვინცა დაიცავს თვისსა ვალდებას
და ამ კეთილ მხრით აღიბეჭდება.

—

მაშ ჩემო მუზავ, შენ განმიმტკიცე
ეს ნაპერწკალი ჩემში გზნებული,
მარად ამ აზრით, ამავე ხაზით
ღაღად ვჰყო სიტყვა ესე მცნებული.

—

რომ შთანაბერის ძლიერის ძალით
სიმართლეს ვხმობდე, მას ვმსახურებდე
და ამა წმიდა ღვაწლით შეჭურვილს
შენს აიაზმას მომასხურებდე.

თ-დი როსტომ—გუძა ჩიქოვანი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ბურების გენერლების მოწოდება. ბოტამ, დევეტმა და დელარეიმ ამნაირი მოწოდებით მიჰმართეს „მთელ განათლებულ ქვეყნიერობას“:

„ყველას კარგად ახსოვს, თუ როგორ იბრძოლეს ბურებმა მთელი ორ წელიწად-ნახევარი თავიანთ დამოუკიდებლობის დასაცველად და მერე როგორ იძულებული იყვნენ ბურების დელეგატები ფერეინიგინგში მეფე ედუარდ VII-ის მთავრობისაგან დადებული ზავის პირობები მიეღოთ. ამავე დროს დელეგატებმა დაგვავალეს, ინგლისში წადით, ჩვენ ახალ მთავრობას გააგებინეთ, თუ რა საზარელ ყოფაშია ჩავარდნილი ყველგან ახალ კოლონიების ხალხი და სთხოვეთ ეს გამოუთქმელი გაჭირვება როგორმე შეამსუბუქოს. ვინიცობაა, ვერას გაჰხდეთ, მთელ განათლებულ კაცობრიობას მიჰმართეთ და შემწეობა სთხოვეთო. რამდენჯერმე ვსთხოვეთ ინგლისის მთავრობას, რომ ჩვენი ერისათვის უფრო უხვი დახმარება გაეწია, მაგრამ ჩვენმა თხოვნამ არ გასჭრა. ჩვენი ხალხი კი მართლაც აუწერელ გაჭირვებაშია ჩავარდნილი, ამიტომ, მეტი გზა არ არის, ევროპისა და ამერიკის ყველა ერებს უნდა მივმართოთ. ომის დროს ბევრი ცხელი დღე გამოვიარეთ ჩვენცა და ჩვენმა ხალხმაც. ძლიერ სასიამოვნო იყო ჩვენთვის, რომ სწორედ ამ დროს ყველა ქვეყნებიდან განუწყვეტლივ თანაგრძნობას გვიცხადებდნენ. ყველა მხრიდან ფულს გვიგზავნიდნენ და სხვანაირადაც ეხმარებოდნენ დედა-კაცებსა და ბავშვებს თავშესაფარ ბანაკებში და აგრეთვე ტყვე-ბურებს. ამ შემწეობამ დიდად შეამსუბუქა ამ უბედურების ყოფა. ჩვენც ვსარგებლობთ ეხლა შემთხვევით და ორსავე წინანდელ რესპუბლიკის ხალხის სახელით გულწრფელ მადლობას ვუხდით ყველას, ვინც კი წარსულში დახმარება გაგვიწია. ბურების პატარა ერი არას დროს არ დაივიწყებს, თუ რა შემწეობა გაუწიეს გაჭირვების ცხელ დღეს. ორსავე რესპუბლიკის ერმა ყველაფერი ანაცვალა თავის დამოუკიდებლობას; რაც კი გააჩნდა, ყველაფერი ამ საქმეს შესწირა და ეხლა არარაფერი აღარ აბადია. თუმცა ჩვენ არ გვიანგარიშნია ზედ-მიწევნით, თუ რამდენი ფერმა გაოხრდა ომის დროს, მაგრამ ჩვენის თვალით ვხედავდით და დარწმუნებულნი ვართ, რომ ინგლისელებმა სულ მცირედ 30 ათასი სახლი და ფერმა მაინც დასწვეს; დასწვეს აგრეთვე ბევრი სოფელიც. ჩვენი სახლები და რაც შიგ მოძრავი ქონება იყო, დასწვეს, ან გააოხრეს, ხეხილი დაჩეხეს, სამეურნეო იარაღი და ავეჯი დალეწეს, საქონელი წაასხეს და დახოცეს, არაფერი აღარ შეგვრჩა. ჩვენი ქვეყანა გავერანდა, უდაბნოდ გადაიქცა. ომის დროს ბევრი მოქალაქე (ბური) გარდაიცვალა. ქვრივებისა და ობლების კვნესა და ტირილი ცოდვით ავსებს ჩვენს ქვეყანას. აღარ ვამბობთ, თუ რამდენი ფული დასჭირდება მოქალაქეთა შვილების აღზრდას. დიდად გაჭირვებულნი მივმართავთ მთელ განათლებულ ქვეყნიერებას და ვსთხოვთ დახმარება გაუწიონ ქვრივ-ობლოთ, დაშავებულ მეომრებს, ყველა გაჭირვებულსა და დავრდომილსა და შეგვაძლებინონ, რომ ჩვენ შვილებს რიგიანი სწავლა მივაღებინოთ. ომის საზარელ შედეგს მხოლოდ იმიტომ ვიხსენიებთ, რომ ჩვენი ერის გაჭირვებული მდგომარეობა ყველას გავაცნოთ, და არა იმისთვის, რომ ხელმეორედ ხალხი ავაღელვოთ. ეხლა ხმალი ქარქაშშია ჩაგებული და ყოველ დავიდარაბას თავი უნდა დავანებოთ, ოღონდ ჩვენ საშინელ გაჭირვებას ბოლო მოეღოს. ომმა ისე გააოხრა ჩვენი ქვეყანა, რომ ენით არ ითქმის და კალმით არ აიწერება. ინგლისმა ერთი ათად მეტი შემწეობაც რომ მოგვცეს იმაზე, რაც ზავის პირობის თანახმად უნდა გაგვიწიოს, სამხედრო ხარჯების დასაფარავადაც-კი არ გვეყოფა. ინგლისის შემწეობიდან ქვრივ-ობოლნი, დაშავებულნი და გაჭირვებულნი ძლიერ ცოტას მიიღებენ, მომეტებულ ნაწილად-კი სულ ვერას ეღირსებიან. აი, ამათთვის ვთხოულობთ ჩვენც შემწეობას. ყველა შემოწირულება ერთ კასაში შეიკრიბება. კასას სახელად ბურების დახმარების უმთავრესი ფონდი ერქმევა. შემწეობა მარტო იმათ მიეცემათ, ვის სასარგებლოდაც იკრიბებოდა ეს ფონდი. უმდაბლესად ვთხოვთ ევროპაში და ამერიკაში დაარსებულ კომიტეტებს ერთად თანხმობით იმოქმედონ და ბურებისათვის ფული შეჰკრიბონ. და ჩვენ თითონაც ვაპირებთ, ყველა ეს ქვეყნები რიგ-რიგისად მოვიაროთ შეწირულების შესაკრებად და საჭირო ორგანიზაცია დავაწესოთ“.

ახალი ამბები და შენიშვნები.

*** ამ დღეებში მამა ი. ჩიჯავაძის სახლში ჩვენა ვნახეთ თამარ დედოფლის სურათი, რომლის მსგავსს ჯერ არსად შევხვედრივართ. სურათი დაბეჭდილია ისეთის ფერადებით, რომ იგი უეჭველად აღმოსავლეთად უნდა იყოს დამზადებული: თამარ დედოფალი ზის ჩაფიქრებული და ხელთ უპყრია რაღაც აბრეშუმის ქსოვილი. სურათის გარშემო ჰხატიან ეროვნულ ტანსაცმელით იმ ტომთა წარმომადგენელნი, რომელნიც ქვეშევრდომობდნენ მაშინდელს საქართველოს. („ივერია“)

*** მოზდოკის არხებში ჩხრეკის დროს აღმოუჩენიათ მრავალი ძველი ხელთნაწერი ქართული წიგნები.

*** „ივერია“-ში ვკითხულობთ, რომ ქალაქის გამგეობას განუზრახავს ალექსანდრეს ბაღის შუა ნაწილის დიდ აუზს მოაჯირი შემოარტყას გარს, რადგანაც არა ერთხელ ჩავარდნილა შიგ ბავშვი. გამგეობას უკვე შეუკვეთნია მოაჯირი იარალოვის ქარხნისათვის.

სწორედ ახირებული ხარჯია! რა უნდა ბავშვს იმ სიმაღლე კედელზე, როგორიც აუზს აქვს? თუ თავიანთ სურვილით ვარდებიან, განა მოაჯირი დაიფარავს? ცოტანი ვარდებიან ხიდიდან მტკვარში?.. ალბად ქალაქის გამგეობას ამით ხალხის ბედნიერებაზე ვითომ-და მზრუნველობა უნდა გამოიჩინოს!..

*** ორშაბათს, 19 აგვისტოს, სხდომა ჰქონდა სამრევლო-საეკლესიო სკოლების საეპარქიო საბჭოს. სხვათა შორის, საბჭომ მოისმინა მოწერილობა უწმ. სინოდისა და ახალი პროგრამა სამრევლო სკოლებისა. პროგრამის წაკითხვის დროს ზოგიერთმა წევრმა ლაპარაკი ჩამოაგდო პროგრამის იმ ადგილის გამო, რომელიც შეეხება სკოლებში სამშობლო ენაზე სწავლებას. როგორც ვუწყით, ახალის პროგრამით ქართულს ენაზე უნდა ასწავლონ პირველს ხანს იმ სკოლებში, სადაც ქართველები იქმნებიან. სხვაგან, სადაც სამშობლო ენაზედ ღვთის-მსახურება არა სრულდება, სწავლება პირველ წლიდანვე რუსულს ენაზედ უნდა იწყებოდეს ბუნების მეთოდის საშუალებით. ზოგიერთმა განაცხადა, როგორ უნდა მოვიქცეთ მეგრელებისა და სვანების სკოლებში, რომელნიც ქართველ ტომს ეკუთვნიან, ქართული კარგად იციან და ქართულისავე საშუალებით იძენენ განვითარებას და ისმენენ ეკლესიაში ღვთის-მსახურებას, რადგანაც იგი სამშობლო ენად მიაჩნიათო. ამაზე ოლქის ზედამხედველმა განაცხადა, რომ ამ საქმის გამორკვევა და იმის მიხედვით პროგრამის განხორციელება დამოკიდებულია გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლების საეპარქიო საბჭოზედ. ამიტომ ამ საქმის შესახებ აქ მსჯელობას ვერ ვიქონიებთო. მართლაც, საბჭომ, ხმის უმეტესობით, გადასწყვიტა არ იქონიოს ამაზე მსჯელობა.

ლაპარაკი გამოიწვია აგრეთვე ზოგიერთ სკოლებში ბუნების მეთოდით სწავლის დაწყების საქმემ. საბჭოს უმრავლესობამ საზარალოდ სცნო ეს მეთოდი. სამაგიეროდ ოლქის ზედამხედველმა საჭიროდ სცნო იგი იმ ბავშვებისათვის, რომელთა დედა ენაზედაც არა სრულდება ღვთის-მსახურება. მაგალითად, ტფილისის მაზრაშიო, განაცხადა იმან, რამდენიმე სოფელია ბერძნებით დასახლებული, რომელნიც თათრულს ენაზედ ლაპარაკობენ; რასაკვირველია, სწავლა იმათ რუსულს ენაზედ უნდა დავაწყებინოთ აღნიშნულ მეთოდის საშუალებითაო.

საბჭომ, ბოლოს გადასწყვიტა გაუგზავნოს ახალი პროგრამა საბჭოს სამაზრო განყოფილებებს და დაავალოს სამაზრო ზედამხედველებს, დახმარება აღმოუჩინონ მასწავლებელთ აღნიშნულ პროგრამით სწავლის დაწყების დროს. ამ დადგენილების თანახმად, პროგრამები ამ დღეებში გაიგზავნება დანიშნულებისამებრ („ივერია“).

*** გადაწყვეტილია, ტფილისის სიონის ეზო მოსუფთავდეს, გამოუსადეგარი და თითქმის დამპალი შენობები, რომლებიც აუშნოებენ ამ შესანიშნავ ტაძარს სამრეკლოს მხრიდან, დაიქცეს, ალაგდეს და გაფართოვდეს ტაძრის მეიდანი. როგორც გვატყობინებენ, თვით მუზეუმის შენობაც უნდა მოშალონო და მეიდანს შეჰმატონ, ხოლო სამუზეო შენობა ააგონ ვერაზედ ან სადმე სხვაგან. დეკანოზი მარკოზ ტყემალაძე უკვე შესდგომია კრებულისათვის შენობის აშენებას ირაკლის ქუჩის გაყოლება საეკლესიო მამულზე. („ივერია“)

*** „პრავ. ვეს.“-ში დაბეჭდილია: „ამ რამდენისამე თვის წინად მის უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ასულს დაეტყო ნიშნები ფეხ-მძიმობისა; ამ ჟამად ფეხ-მძი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობა, რაკი ნორმალურს მიმდინარეობას ასცდა, მუცლის წახდენით გათავდა. მუცლის წახდენა არაფ-რით არ გართულებულა; ავადმყოფისთვის სიცხე არ მიუცია; მაჯის-ცემაც წესიერი ჰქონდა. ლეიბ-აკუ-შორი პროფ. დიმ. ოტტ. ლეიბ-ქირურგი გირში. პეტერგოფი, 20 აგვისტოს 1902 წელს».

* * * მათი უდიდებულესობანი ამალითა და იმ პირთა თანხლებით, რომელნიც დაესწრნენ ხერსო-ნესში, გარდა გრადონაჩალნიკისა, მიბრძანდნენ ბახ-ჩისარაიში $12^1/_2$ საათზედ. საიმპერატორო მატარებ-ლის მოახლოების დროს გაისმა ხალხის განუწყვეტ-ელი „ურა“. მათ უდიდებულესობათ შეეგებნენ გუბერნიის უფროსი კამერგერი ტრეპოვი, გუბერ-ნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი სკადოვსკი, მაზ-რის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, თავმჯდომარენი საერო გამგეობათა, მე-13 დივიზიის უფროსი გენე-რალი ცერპიცკი, 1 ბრიგადის კომანდირი გენერალი სოლოგუბი, უფროსი ჟანდარმთა სამმართველოსი გენერალი ტრუბნიკოვი, ქალაქის თვით-მმართველო-ბის წარმომადგენელნი და ქალაქის თავი დავიდოვი, რომელთაც მიართვეს პურ-მარილი. გუბერნატორი და თავად-აზნაურთა წინამძღოლი ღირს იქმნენ მშვენიერის თაიგულისა. მათი უდიდებულესობანი ახდილის ეტლით მობრძანდნენ ხანის სასახლეში, სადაც მათ მიეგებნენ წარმომადგენელნი თაორებისა, ბერძნებისა, კარაიმისა და ებრაელებისა. სასახლეში იყო გამოფენილი ნიმუშები შინა მრეწველობისა. აქედან მათი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ უწინ-დელს ძველს კარაიმის ქალაქ სუფუტ კალეში, სა-დაც მათ შეეგება ხახამი პამპულოვი, ნახა თორა, რის შემდეგაც მათ უდიდებულესობათ მიიღეს კარა-იმოს საზოგადოებისაგან მირთმეული საუზმე და 4 საათზედ წაბრძანდნენ მიძინების კაკტში და ზემო-ეკკლესიაში მოისმინეს პარაკლისი. ქალაქი სადღე-სასწაულოდ არის მორთული და აღვსილია გამხია-რულებულის ხალხითა. 6 საათზე მათი უდიდებუ-ლესობანი დაბრუნდნენ სევასტოპოლში, საიდამაც კატერით გადაბრძანდნენ საიმპერატორო იახტა „შტანდარტზედ“. „ურას“ ძახილი არ შეწყვეტილა დიდ-ხანს.

* * * უწმ. სინოდის თხოვნით შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღკრძალა ფონოგრაფებისა და გრამო-ფონებისათვის სასულიერო საგალობლების გადაღება.

* * * თებერვალში შინაგან საქმეთა სამინისტ-როსთან შესდგება განსაკუთრებული კომისია სამ-კურნალო წესდების გადასათვალიერებლად. კომი-სიაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი არიან ქალაქებისა, საგუბერნიო და სამაზრო ერობათა და სხვა დაწესებულებათ წარმომადგენელნი.

* * * რა დააჯდმრა თითოეული ომი? სუურად-დებო ამბებს კადმოქმეტმენ კაზეთები იმის შესახებ, თუ რა დამჯდარა თითოეული ომი მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში. მოგვეცა ეს ვინმე ენგელის მიერ გამოანგა-რიშებული ცხრილი: 1) ყირიმის ომი დამჯდარა (1853—1856 წ.) 3 მილიარდი და 7.000,000 მანეთი; 2) ავსტრია-პრუსიისა (1866 წ.)—61.000,000 მანეთი; 3) იტალიისა (1859 წ.), 550.000,000 მანეთი; 4) ჩრდილოეთ-ამერიკისა—(1863—1865)—12 მილიარდი, 58.000,000 მ., 5) სიფრანგეთ-პრუსიისა (1870—1871 წწ.)—5.510.000,000 მან. და 6) ოსმალეთ-რუსეთისა (1877—1878)—2.085.000,000 მან.

* * * რამდენს იღებენ დღეში ხელმწიფეები და სახელმწიფოს მმართველნი?! ოსმალეთის სულთანი დღეში იღებს 40,000 მანეთს, ავსტრია-უნგრეთის იმპე-რატორი—25,000 მან., გერმანიისა 20,000 მან., იტალიის მეფე—16,000 მან., ბელგიის მეფე—4,000 მან., სიფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი—1,200 მან., ხოდა შეერთებულის შტატების პრეზიდენტი—350 მან.

* * * მოგვიგიდა მე-IX ნომერი სამეცნიერო ჟურნალ „ჯეჯილი“-სა შემდეგის შინაარსით: 1) „ტიეგი და მგელი“—ალ. ხარშილაძისა.—2) „დიდი ბატონი“—ბეს. ვაშაძისა.—3) „ოშაია“ (კრიდოგის იგავ-არაკი)—აკაკისა.—4) „იშვიათი მამატობა“ (თარგმანი).—5) „შვიდი ყვავი“ (ზღაპარი)—ნიკეშა მაჩაბლისა.—6) „დარაჯი ბატი“ (თარგმანი). 7) „მელიის თავ-გადასავალი“ ზღაპარი—(კაკრძალება) ალ. ნათაძისა. 8) «მგელი და მელა» (ფუნკციეჩისა)—კ. ფრანისეარელისა. 9) „ბაბარა ლედოფალი“ (თარგმანი) კაკრძალება—ს. ტიტიშვილისა.—10) „კიორგი“ (მოთხრობა) კ. ბოკერიასი.—11) „ავქსენტი ანტონის ძე ტაკარელი“ მოკლე ნეკრო-ლოგი—ს. მკალობლიშვილისა.—12) „წვრილმანი: ან-დაზები, კამოცანა, შარადა, არითმეტიკული ამოცანა და სხვა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** შინაგან საქმეთა მინისტრმა კავასწყვეტა ადგრძელულ იქმნას ცოდვე ნომრობით გასყიდვა გაზეთის «Петер. Газета»-სა.

*** 26 აგვისტოდან 1 სეპტემბრამდე ავად გახდა ხოლერით ბორტ-არტურს 45 კაცი, დღეინა—5, ვლადივოსტოკში—24, უსურიის ნიკოლსკში—3, ბლაგოვეჩენსკ—4. რაკი ეკედგან შესუსტდა ხოლერის ეპიდემია ბრიამურის საგენერალო-გუბერნატორობაში და ამ უკანასკნელ სამს კვირას ადარავინ გამხდარა ავად ბაიკალის ტბის მახლობელ ადგილებში, შესაძლებელად იქმნა ცნობიდი, რომ თან-და-თან შემცირდეს რიცხვი მეურნალთა და ობსერვაციის ვადათაც მხოლოდ ორი დღე იყოს დაწესებული ირკუტსკში ადმოსავლეთიდან დაბრუნებულ კაცმოსახლეებულთათვისა.

ოდესაში 28 მაისიდან 29 შემოხვევა იქმნა ადმოჩენილი საეჭვო ავადმყოფობისა, რომელიც შავ ჭირად მიიჩნიეს. ამ ავადმყოფთა შორის 10 კაცი მოკვდა. აქედან სეკდემბრის პირველს ექვს დღეზე მოდის ხუთი ავადმყოფი, მათ შორის ოთხი კარდაიცვალა. 7 და სეკდემბერს საეჭვოდ ავად არავინ გამხდარა.

*** ტფილისის გუბერნიის მარშლის თხოვნის თანახმად, თავად-აზნაურობის მამულების გამგე კომისიამ გაუგზავნა 450 მან. ნოვოპერკასსკის კადეტთა კორპუსს თავად-აზნაურობის ერთის სტიპენდიანტის შესანახად დონის ყაზახთა ჯარის ოფიცერთა შვილთაგან. იმავე კომისიამ შეიტანა ტფილისის სახაზინოში 1,350 მან. ტფილისის კადეტთა კორპუსის დეპოზიტად. ამ ფულით უნდა აღიზარდოს სამი სტიპენდიანტი მე-13 ლეიბ-გვარდიის მის უდიდებულესობის ერევნის პოლკისა, მე-20 არტილერიის ბრიგადისა და მის უდიდებულესობის მე-80 ქვეითა ყაბარდოს პოლკის ოფიცერთა შვილთაგან. ეს ოთხი სტიპენდია დააარსა ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ საქართველოს სამეფოს რუსეთთან შეერთების ასის წლის სახსოვრად.

*** ფოთის კაუდერის დეკ. გრიგოლ მაკარაშვილი კარდაიცვალა. ნეკროლოგი შემდეგ №-ში დაიბეჭდება.

*** დეკ. ალექსანდრე იაკობის ძე მანსვეტოვი 28 სეკდემბერს კარდაიცვალა. კვამი მისი იქნება დაკრძალული 2-ს ოკტომბერს ს. ნორიოში. ეოვლად სამდვილად ღვთიანი იმერეთის ეპისკოპოსი თბილისს წარძანდა პირველ ოკტომბერს, სადაც შწირველი ბრძანდება დეკ. მანსვეტოვის დასაფლავების დღეს.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საარწმუნოებასა და კეთილმსნეობაზე.

სიტყვა.

თქმული 8 ენკენისთვეს კელათის მონასტრის ტაძარში ეოველად წმიდა ღვთის-მშობლის დაბადების დღეს.

შობამან შენმან, ღვთის-მშობელო ქალწულო, სიხარული აუწყა ყოველსა სოფელსა.

შვა, დაიბადა დღევანდელ დღეს ებრაელთა უბრალო და პატარა ქალაქ ნაზარეთში, მარიალთა იოაკიმე და ანნასაგან, ყრმა მარიამი, და ყოველსა სოფელსა, ე. ი. მთელს ქვეყანას ეუწყა უსაზღვრო სიხარული, ვინაიდგან ამ ყრმის შობამ დახსნა, მოსპო ბერწობა კაცობრიობისა, შეასმინა ქვეყანას დამტევნელი თვის შორის ცათაგან დაუტევნელისა ღვთისა, აღმოაცენა ძუძუნი, აღმზრდელნი ყოველთა მზრდელისა! იშვა, დაიბადა დღევანდელ დღეს ნაზარეთში ყრმა მარიამი და სოფელი აღივსო სიხარულით, ვინაიდგან მოიპოვა მან (სოფელმა) მშობელი ცისა და ქვეყნის მეფისა, გამოიღო ყოველთა წმიდათა ანგელოსთა და მთავარ-ანგელოსთა და ყოველთა დაბადებულთა უპატიოსნესი ნაყოფი, აღიდგინა ურცხვნელი, სასო და შესავედრებელი, ყოვლად ძლიერი და მხურვალე უცამდგომელი დამბადებლისა მიმართ! იშვა, დაიბადა დღევანდელ დღეს ქალაქ ნაზარეთში ყრმა მარიამიო, გვახარებს წმიდა ეკკლესია, და ხმა ესე აღავსებს სიხარულით საქართველოს ეკკლესიის მორწმუნე შვილების გულთ, ვინაიდგან სამშობლო ჩვენი იყო და არის ამ ნეტარი ყრმის წილხვედრი! იშვა, დაიბადა ნაზარეთში დღევანდელ დღეს ყრმა მარიამიო, გალობს ხმა-ტკბილად ეკკლესია, და ივერთა მგრძნობიარე გულში ელვის სისწრაფით ბრწყინდება ლამპარი სიხარულისა, ვინაიდგან გა-

ლობა ესე გაახსენებს მათ გელათის ტაძარს, რომელიც ჩვენი კუთხის მორწმუნე ქალისა და კაცისათვის ყოფილა, არის და კვალად დარჩება გულის ძარღვზედ და თვალის გუგაზედ უძვირფასესად...

შობაა ყოვლად წმიდა მარიამისა, განიხარე და მხიარულ იქმენ, მღვთის-მშობლის წილ-ხდომილო ერო! გელათობაა, გახარებთ გულით, სრული სიწრფელით და მაცოცხლებელი სიყვარულით, სულიერნო ძენო და ასულნო ჩემნო!

სასიქადულოა თქვენთვის და ღმობიერებით ვმადლობ დედასა ღვთისასა, რომ გახსოვთ დღე ესე, გიყვართ იგი და პატივსა სცემთ მას, რასაცა უცილობელ ჰყოფს ესოდენი კრება თქვენი ნათესავებით, ნაცნობებით, შვილებით და შვილის-შვილებით. გთხოვთ და დიდის ვედრებით გევედრებით, ნუ დაივიწყებთ ნურასოდეს ამ კეთილსა და სალმრთო ჩვეულებას, ნუ მიიმჩნევთ სამძიმოდ ყოველ-წლობით შემოკრებას ამ თქვენი მამა-პაპათა სალოცავის ფრთეთა ქვეშე, ნუ ამოიყვანთ ბალახს ამ თქვენი დედა ტაძრის გზაზედ თქვენი აქ მოუსვლელობით, დაუდეთ ანდერძად და მცნებად თქვენ შვილებს და შვილის-შვილებს მტკიცე ხსოვნა დღევანდელი დღისა, გულითადი სიყვარული ამ სალმრთო ალაგისა, შეუდრეკელი სასოება ამ სასწაულთ-მომქმედ ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლის პატიოსან ხატზედ, მისს წინ ხშირად ვედრება, მისი სიახლოვით დატკბობა და მისს საგრილობელს ქვეშ სულიერად აღორძინება.

ჩვენ ყველანი ვდღესასწაულობთ, ყველას გვაფრთოვანებს სალმრთო სიხარული, მაგრამ ამასთან ერთად მოვალენი ვართ ვიცოდეთ, ყოვლად წმიდა ღვთის მშობელიც გახარებულია ამ ჩვენი დღესასწაულობით თუ არა? ოღონდაც გახარებული იქნება, უკეთუ ჩვენი დღესასწაულობით განვახორციელეთ მისი გულითადი წადილი—გავშორდით ცოდვას, შევიძინეთ სარწმუნოება, სასოება და სიყვარული, დავთრგუნეთ არა წმინდანი ვნებანი და ხორციელნი გულის თქმანი, დავინერგეთ, აღმოვიცენეთ, გავიფურჩნეთ და აღვიყვავეთ გულში ნაყოფნი სულისა წმიდისანი: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელება, სიტკბოება, სახიერება, სარწმუნოება, მყუდროება, მარხვა, მოთმინება (გალატ. 5, 22) აი რითი გავახარებთ ყოვლად წმიდა მღვთისმშობელს, აი რითი შევძენთ მას დღესასწაულს, აი რომელი სიკეთის მოსაფენად კაცთა შორის იტვირთა მან მუცლითა თვისითა და აწოვა ძუძუნი თვისნი მაცხოვარსა ჩვენსა იესო ქრისტეს! ვისმინოთ ხმა ჩვენი ზეციერი დედისა, მივიღოთ, შევითვისოთ და შევირგოთ დედობრივი მოძღვრება ყოვლად წმიდა მარიამისა ისე, როგორც ყრმები მიიღებენ და შეითვისებენ ხოლმე დედის ძუძუთგან გამონაწოვ რძეს, წავიღოთ სალმრთო სურვილი ყოვლად წმიდა ღვთისმშობლისა ჩვენს ოჯახებში, მოვფინოთ და გავავრცელოთ იგი, რამდენადაც შეიძლება, ჩვენს ნაცნობთა და მეზობელთა შორის, ვაგრძნობინოთ ყველას ჩვენი კეთილი ცხოვრებით და მაგალითით სულის ჩამდგმელი სითბო მღვთისმშობლის დედობრივი მკერდის სიახლოვისა, ნეტარება მის ძუძუთა წოვნისა.

ოჰ, რაზომ დაშორდნენ მრავალნი ჩვენთაგანნი მღვთისმშობლის დედობრივ კალთას! როგორი გველის შხამზედ შესცვალეს მრავალთ მისი ტკბილი რძე! რა ამბავია ჩვენს გარეშემო? რას ვხედავთ და რა გვესმის? მრავალნი ძენი და ასულნი იმ ერისა, რომელიც ხადის თავისს თავს მღვთისმშობლის წილხდომილად, რომელსაც თუ მოუპოვებია კეთილი სახელი ქვეყნიერობაზედ, მოუპოვებია მარტოდ მარტო სარწმუნოებისათვის თავ-დადებულობით, მრავალნი ძენი და ასულნი ამგვარი ერისა, გატაცებული უცხო ქვეყნების შეგინებულ შვილთაგან ნასესხებ დედაბერებრთა ზღაპრებით, გადასდგომიან დღეს სარწმუნოებას, მისცემიან კაცის ღირსების დამამხობელ ცხოვრებას, ხრწნიან გონებრივ და სარწმუნოებრივ გაუნათლებელ და შეუგნებელ დაბალ ხალხს, ახდენენ ალაგ-ალაგ ამბოხებას და, მიმძიმს სათქმელადაც, არ უკადრისობენ მოძმეთა სისხლის დაღვრასაც კი!

რა უფლება-ღა გვაქვს ამის შემდეგ კიდევ ვუწოდოთ ჩვენ თავს ღვთისმშობლის წილ-ხვედრი? რიღათი-ღა გვაუწყებს შობა მღვთის-მშობლისა სიხარულს?

ნუ, ნუ შევაგინებთ, ნუ დავგმობთ, ნუ შეურაცხვყოფთ, ძვირფასნო მსმენელნო, ასეთი თავხედობით, ასეთი კადნიერებით და წინდაუხედველობით ჩვენ სალმრთო წარსულს, ვამხილოთ და შევრისხოთ გულმტკივნეულად ჩვენი შემცდარი ძმები და შვილები, ვაცოდინოთ ჭეშმარიტება და ვიხმაროთ ყოველი ღონისძიება მათგან ანთებული გამანადგურებელი ცეცხლის გასანელებლად; დავუმტკიცოთ ყოვლად წმიდა მღვთისმშობელს, რომ ჩვენა ვართ არა ხოლო მსმენელ ღვთის სიტყვისა, არამედ მყოფელ (იაკ. 1, 22). ამინ!

ეპისკოპოსი ლეონიდი.

სამკურნალო და ჰიგიენური

განყოფილება.

ექიმის საუბარი

გულისხმიერ მკითხველთან.

ვინ არ იცის, რა ძვირფასი რამ არის ჯანმრთელობა და რამდენად მწარეა და სიცოცხლის გამაუგემურებელი ავადმყოფობა. ამიტომაც ყოველი ადამიანი მონატრულია ჯანმრთელობისა, მაგრამ იშვიათია, ისეთი ვინმე, თუ ხშირად არა, ხან-და-ხან მაინც არ ჩაუვარდეს ავადმყოფობის მწარე კლანჭებს. თანამედროვე ადამიანი ისე შეჩვეულია ავადმყოფობას, რომ თითქმის სულ მის მოლოდინშია, და ვერც-კი წარმოიდგენს, თუ ავადმყოფობა სიცოცხლის აუცილებელ კუთვნილებას არ შეადგენს. და მართლაც, ეხლანდელი ცხოვრება იმდენად გაუკულმართებულია, იმდენად მრავალია ის მავნე პირობები, რომელიც ჩვენ გარს გვარტყია, რომ ავადმყოფობა თითქმის ყოველთვის და ყოველგან ჰსუფევს და ბევრსაც უდროოდ ასალმებს ამ წუთი-სოფელს, რომლის მოშორებაც ყველას ენანება, რაც უნდა წვალებაში იყოს ადამიანი და რაც უნდა განსაცდელს აყენებდეს მას ცხოვრების მძიმე უღელი.

ხომ ბევრი გაჭირვება ადგია თანამედროვე ადამიანს, მაგრამ ყველაზედ უფრო შესაშფოთებელი მისთვის ავადმყოფობა არის. სიღარიბის სიმწარეს, სიმშილს, წყურვილს, სიცივესა და მრავალ უკულმართობას ადამიანი ადვილად ეჩვევა და ბედსაც ურიგდება, ხოლო ავადმყოფობას-კი მეტისმეტად უბრთხის და ყოველ განსაცდელზე უფრო მწვავედ სთვლის. რაც უნდა მარჯვე და მხნე ადამიანი იყოს, მაინც არ შეიძლება, არ შეშფოთდეს, როდესაც ან თვითონ, ან ვინმე მისი ოჯახის წევრთაგანი რაიმე სენით არის შეპყრობილი. ყველა ცდილობს რაიმე იღონოს სენის წინააღმდეგ, მაგრამ მრავალი მიზეზია, რაც წინ ეღობება და ხელს უცარავს მას. რასაკვირველია, ვინც ქალაქ ადგილს არის და საშუალებაც აქვს მიმართოს მკურნალს—ამათზედ ჩვენ არას ვამბობთ. მაგრამ ასეთ ბედნიერია რიცხვი ხომ დიდი არ არის. ჩვენ უფრო მათზედ ვლაპარაკობთ, ვინც სოფლად არის, და ამიტომაც მოკლებულია დროზედ მისაღებ დახმარებას. ამნაირ პირობებში მყოფმა, მეტი ჯანი არ არის, ჯერ მოცდით უნდა დაიწყოს ექიმობა, იმ იმედით, რომ ეგებ ორ-სამ დღეში ავადმყოფობამ ისედაც გაიაროსო. ამასობაში, თუ სენი სულ უბრალო არ არის, მატულობს, უფრო ღრმად იდგამს ფესვს სხეულში და ღონივრად ჰკიდებს ხელს. ამას ზედ ერთვის თავის-თავის მოვლის უცოდინარობა და ამიტომაც სულ უბრალო მიზეზი ხან-და-ხან დიდ სნეულებად გარდაიქცეკა ხოლმე. ამნაირად ხშირად მარჯვე აგებულების მექონიც-კი სულ უბრალო რაიმე ავადობის მსხვერპლად ხდება. ამის მაგალითები მრავლისაგან-უმრავლესია ჩვენს სოფლებში და ვისაც იქ სამკურნალო მუშაობა შეჰხვედრია, ყველას აურაცხელი მაგალითები უნახავს ამისი. ასე რომ სოფლად უმეტესს ნაწილს ასალმებს წუთისოფელს მხოლოდ გაუბრთხილებლობა, თავისი აგებულობის უცოდინარობა და დრეზედ სუშულების მაუდებლობა.

ის კი არა კმარა, რომ ადამიანმა ავადმყოფობის დროს დაიწყოს ჯავრი, ბედის მომდურაობა და უსარგებლო სინანული, რატომ დამემართა ეს და რატომ გავხდი ავადაო! ეს ხომ ყოველივე ამაო და უსარგებლოა! ამით რაღა ეშველება წამხდარ საქმეს?! ის უფრო საჭიროა, რომ თვითეული ადამიანი დაკვირვებული იყოს თავის აგებულებაზედ; ესმოდეს ის, რაც არის მისთვის სასარგებლო ან მავნებელი, საჭირო ან მოსარიდალი; ადამიანი, როგორც ბუნების გვირგვინი, მართლაც შეგნებულად უნდა უყურებდეს თავის აგებულების ვითარებას და არ უნდა ემსგავსებოდეს პირუტყვს; საზიანოს უნდა ერიდებოდეს, სასარგებლოსკენ მიისწრაფოდეს და წინდახედულად ეკიდებოდეს იმ სიცოცხლეს, რომელიც მას დაბადებიდგანვე აქვს ნაჩუქარი. თორემ ბოლოს საქმის გამოკიდება და კვნესითა და ოხვრით იმის გამეორება, რომ „იმ დალოცვილ ღმერთს, რა დავუშავე, რომ ავად გამხადაო“—როგორც ამას ბევრი გაიძახის ხოლმე—გვიანღაა! ამ ფუჭი სიტყვებითა და უსაფუძვლო წუწუნით კი არა კეთდება რა.

ამისათვის უთუოდ საჭიროა, რომ თავის-თავის მოვლა თვითეულმა ცოტაოდნად მაინც იცოდეს. ეს ცოდნაც წინდაწინვე უნდა ჰქონდეს კაცს შეძენილი, თორემ ავადმყოფობის დროს ამის შეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლა უდროოდ არის და შეუძლებელიც. ყველგან, შეგნებულ ქვეყნებში ამგვარი ცოდნა, სხვა საჭირო სწავლასთან ერთად, თვით სასწავლებლებში შეიძინება ხოლმე. სწავლას იქ არავინ მოაკლდება და ამისათვის ეს ცოდნაც საყოველთაო არის. მაგრამ ჩვენში ჯერ ყველა ვერ ეღირსება სასწავლებელში ყოფნას, და ვინც იქ არის, ისიც არაფერს არ სწავლობს ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის შესახებ. ჩვენებური მოსწავლე ცხრა მთას იქით მომხდარ ამბავს თამამად მოგიყვებათ, და თავის ცხვირს როგორ უნდა მოუაროს გაცივების დროს—იმისას-კი ვერას გეტყვისთ. ამისათვის ცხოვრებაში შესვლისას ყველა იმ ცნობებით სარგებლობს, რაც აქა-იქ ყურის-მოკვრით შემთხვევით დანახსოვრებია ან გაუგონია. და ამნაირი ცოდნა-კი ხან-და-ხან სრულებით გამოუსადეგარი გამოდის და ხშირად მავნებელიც ავადმყოფისათვის.

საჭირო-კი არის ადამიანმა თავისი სხეულის აგებულება იცოდეს და მისი მოვლაც ესმოდეს ცოტაოდნად მაინც, რადგანაც ამ სხეულით დაბადებული იგი, ამით უნდა განვლოს მან ცხოვრების მძიმე გზა და სიკვდილის კარამდე მასთან უნდა ჰქონდეს საქმე. ამ სხეულის კეთილ-დღეობაზეა დამოკიდებული ერთის მხრით მისი მომავალი ცხოვრება: ან გაატარებიებს ამას კარგის ბედაურივით, მარჯვედ და მხნედ, ან და ადრე დაჩაჩანაკებულს და უგემურის ჩიჩქიით შეწუხებულს ძლივს მიათრევინებს სიკვდილის კარამდე. განსხვავება ერთსა და მეორეში დიდია, და თუ ადამიანი უბრალო, წუთიერ სიამოვნებისათვის ხან-და-ხან თავს არ იზოგავს და ხარჯსაც არ ერიდება, ნუ თუ იმდენი მაინც არ უნდა მოისურვოს, რომ ეს ცოდნა, თავის-თავის ჯანმრთელობისა ტ მოვლის, არ შეიძინოს?! ის ცოდნა, რომელიც მასვე გააბედნიერებს და არა თუ წუთიერის, არამედ ხანგრძლივის სიამოვნების წყაროს გაუჩენს!.. ეს ყოველი გონიერი ადამიანის მოვალეობაა, მაგრამ სამწუხაროდ ბევრს სრულებით აბუჩად აგდებული აქვს იგი.

მაგალითად ჩვენ ყველამ ვიცით, რომ მოშიევების დროს საქმელი უნდა მივიღოთ, ეს არავის არ ავიწყდება. საქმელი პირთან უნდა მივიტანოთ, კბილი გაუქნ-გამოუქნიოთ და შემდეგ გადავყლაპოთ. ეს ყველამ იცის, არავის არ გადავარდება გულიდგან. მაგრამ, აბა თუ ყველამ იცის, რისთვის ჩავდივართ ამას, ან რა საჭიროების გულისათვის? რა ემართება მერე ამ საქმელს, რანაირად ითვისებს სხეული მას?—ამას ხომ უმრავლესობა არც დაეძებს. მაგრამ ამის უცოდინარობა ბევრს აზარალებს ხოლმე. ბევრი წარა-მარად აყრის კუჭს რაც და როგორც შეხვდება, ის-კი ავიწყდება, რომ კუჭი ხალთა არ არის, და ყველაფერს ვერ მიიღებს. არამედ მასაც ზომა და შერჩევა უნდა, დაკვირვება და გაბრთხილებაც. ბოლოს, როდესაც ტკივილები სადგისივით დაესობა, იწყებენ ჭონასავით ყველა ექიმებთან ჩამოვლას, და თუ მაშინვე ვერ უშველეს—კარგადაც შეუკურთხებენ მათ—ვერაფერი გვიშველეს, ავადმყოფობას ვერ მიგვიხვდენო და სხ. ის კი ავიწყდებათ, რომ ათი და ოცი წლით სტომაქის მოუვლელობას ისეთი ცვლილება აქვს მოხდენილი მის აგებულებაში, რომ უცებ და აჩქარებით არაფერი ეშველება, თუ არ რიგიანის, წინდახედულის და დაკვირვებულის მოვლით. საამისო ხანგრძლივი მოთმინება-კი ვინ მისცა ზოგიერთ ადამიანს?! უმჯობესი არ იყო თავიდგანვე გაბრთხილებოდა თავის თავს? რასაკვირველია. მაგრამ ამას ხომ ცოდნა უნდოდა? კიდეც ამიტომ არის საჭირო იცოდეს ადამიანმა სასმელ-საქმელის თვისება, კუჭის ანუ სტომაქის მუშაობა, რისთვის არის საჭირო საზრდოობა და ან როგორ უნდა ისაზრდოოს ადამიანმა?

მეორე მაგალითი. ყველამ ვიცით, რომ საქმელთან ერთად სასმელიც უნდა მივიღოთ და ამას ჩავდივართ წყურვილის მოსაკლავად. ვსვამთ წყალს იმდენს, რამდენიც გვინდა და გვიამება. მაგრამ საქმელს წყლის მაგივრად ღვინოს ვაყოლებთ, რადგანაც ეს კურთხეული სასმელი ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ მოდის. უმრავლესობამ არც იცის ხოლმე ზომა, რამდენი უნდა მიიღოს ღვინო, სად უნდა შეჩერდეს და რამდენს შეიშნობს მისი სხეული. საზომად მხოლოდ ის აქვსთ, როდესაც ღვინო გაუჯდებათ იმდენად, რომ გონება ცოტად აშლას იწყებს და გულის რევაც მოახლოებულია. ჩვენში სამწუხაროდ ეს უცნაური ჩვეულება არის გავრცელებული. უმრავლესობა ცდილობს იმდენი დალიოს, რომ ტოლუმბაშმა ადრე არ ააგდოს სუფრიდგან და თუ ვინმემ ისე მიაჩვია სხეული, რომ რამდენიმე ბოთლის ერთად დაცლაც-კი მოახერხა, —ეს ჩვენ კაცს

ვიც ექებება. იმას-კი სრულებით არ ჰფიქრობს, რომ ამდენ ღვინოს რომ სვამს, ის მის აგებულებაში ჩადის, რომ ეს ღვინო მთელ სხეულს გაუჯდება, და ამისათვის მთელს აგებულებას უნდა გარდახდეს მისი სამაგიერო!.. წინდაუხედველ ადამიანს კი ჰგონია, თუ ერთი გამოიძინა და „გამონელდა“ ღვინო—ამით ყველაფერი გათავებულია. ის არ იცის, თუ რამოდენიმე წლობით ამგვარს უზომო ღვინის მიღებას დიდი დაბრკოლება მოაქვს სხეულისათვის, გულს ასუსტებს, ღვიძლს აზიანებს და მრავალგვარ ისეთს სენს აჩენს, რომელიც ხან-დახან სიცოცხლის გამამწარებელია და უდროოდაც სიცოცხლის მომსპობი. რომ გაუჭირდება მაშინ-კი დაიწყებს წუწუნს, ექიმთან სიარულს, ღვინოს გემოთაც აღარ გასინჯავს, მაგრამ გვიან. რამდენიმე ათ-წლობით გაფუჭებულ საქმეს ეხლა რაღა უშველის? და ეს ასე არ იქნებოდა, რომ ადამიანი გაბრთხილებოდა თავიდგანვე თავის აგებულებას და ყველაფერში ზომიერება დაეცვა. მაგრამ ამას ხომ ცოდნა უნდა? კიდეც ამისათვის არის საჭირო კაცმა იცოდეს ღვინისა და მაგარი სასმელების თვისება, რისთვის არის საჭირო სასმელი და ან რა ზომით უნდა მას მიღება, რა შედეგი მოჰყვება ხოლმე უზომოდ სმას და რა გავლენა აქვს მას ადამიანის სიცოცხლეზე?

მესამე მაგალითი. ყველამ ვიცით, რომ სასმელ-საჭმელსა და ტანთსაცმელს გარდა საჭიროა თავშესაფარი ადგილი, რომელსაც სახლს ვეძახით. ზოგს კარგი სახლი აქვს, ზოგსაც უბრალო ქოხი ძლივს აუშენებია, მაგრამ ყველასათვის რამეა საჭირო ღამის გასათევად და სადგომად. ეს ყველამ იცის. მაგრამ ძალიან ცოტამ იცის, როგორი უნდა იყოს სახლი, ან რა ნიადაგზე სჯობს მისი აშენება, რომ იქ ყოფნა მავნებელი არ იყოს სხეულისათვის. თუ ერთხელვე სახლი მდგარა და ვინმეს შიგ უცხოვრია—ეს საკმაოდ მიაჩნიათ სოფელში, რომ ეს ადგილიც და სახლიც მოწონებული იქნეს. ხშირად-კი ადგილი ისეთი ცუდი და მავნე თვისების არის, რომ იქ მდგომს ხეირი არასოდეს არ დაეყრება. თუ ავად გახდა ამნაირ ადგილს ადამიანი ან დაღალბათდა, ამას ან „წერას“ დაადბრალებენ, ან ხატის მიზეზს; ნამდვილ მიზეზს-კი ხშირად ვერ ხვდებიან, და ხშირად მთელ ოჯახს ავადმყოფობა არა შორდება. მაგრამ ამასაც ხომ ცოდნა უნდა? საჭიროა კარგად ვიცოდეთ, რა თვისება აქვს ნიადაგს, როგორი ნიადაგი არის ჯანმრთელობისთვის კარგი და რომელი არის მავნებელი, როგორი უნდა იყოს სადგომი სახლი, რომ მასში მდგომისათვის იგი სასარგებლო იქნეს?

მეოთხე მაგალითი. ვსთქვათ გაჩნდა რამე გადამდები სენი სოფლად. ყველას შიშის ზარი ეცემა და ცრუმორწმუნოების ზომებსაც ხმარობენ ხოლმე, ეგებ როგორმე ავიშოროთ მოსალოდნელი სენიო. რიგიან ცოდნას-კი მოკლებულნი არიან, თუ რა საშუალებას უნდა მიმართოს ამ დროს კაცმა. კიდევაც ამიტომ მოედება ხოლმე სოფელს გადამდები სენი და წელიწადი ისე არ გაივლის, რომ ერთმა ან რამოდენიმე გადამდებმა სენმა ბევრს არ აუტიროს ოჯახი და არ გამოაცალოს ძვირფასი არსება ხელიდგან. მდაბიო ხალხს ესეც „წერა“ ჰგონია, მაგრამ ჯავრის სიმწარეს მაინც ვერ დაავიწყებიებს ასეთი ახსნა. რატომ ხდება ხოლმე ეს? უვიცობით და უცოდინარობით. ამისათვის საჭიროა იმისი ცოდნა თუ როგორ ჩნდება გადამდები სენი, რა უწყობს ხელს მის გავრცელებას და რა საშუალებით შეიძლება მისი მორიდება. თავიდგან აშორება.

ექიმი ვ. ღ—ძე.

(გაგრძელება იქნება)

შეწირულებანი.

მ. რედაქტორო! თკვენგან გამოგზავნილი ათი მანეთი წარმოგზავნილი «მწყემსი»-ს რედაქციაში მათხოჯის დედათა სავანის სასარგებლოდ მღვდლის მამა გრიგორ ნიკურაძის—კანდელაკისაგან მივიღე, რომლისათვის გულითადს მადლობას განუცხადებთ შემომწირველს—მამა გრიგორ კანდელაკს, როგორც მე, ისე მთელი დედათა სავანის დები.

მათხოჯის დედათა სავანის რჩევის
თავსმჯდომარე პარასკევა.

—

მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის «მწყემსი“-ს საშუალებით, გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ჩემი და ჩემი მრევლის მხრით შემდეგ პირებს, რომელთაც შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულ ნადაბურის წმ. თეოდორე-ტირონის ეკკლესიას ფულად: ა) ლიჩის სამრევლოს მღვდელმა ანტონ ნოზაძემ და მისმა მეუღლემ სევრონია სპირიდონის ასულმა 6 მანეთი; ბ) გლეხმა ფილიპე გლახუას ძე გელაშვილმა 5 მანეთი და გ) გლეხმა თეოდორე ივანეს ძე გელაშვილმა 5 მან. და სრულიად 16 მან.

მღ. სიმონ კალანდაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲘᲐᲜ

დეკანოზი დავით დამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში—«ᲛᲬᲧᲔᲛᲘᲡ»-ს რედაქციის სტამბაში, ძძ. ᲭᲘᲚᲐᲫᲔᲑᲘᲡ და Ე. ᲑᲔᲥᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ წიგნების მაღაზიებში და ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐᲨᲘ—თვით გამომცემელთან.

1. საეკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.

1. ᲚᲝᲪᲕᲐᲜᲘ ნახატებიანი, გამოცემა მესამე. მართლ-მადიდებელი ეკლ. უმთავრესი ღვესასწაულების ისტორიული მოთხრობები. ამ ლოცვანში არის მთელი წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვნის ᲠᲝᲣᲚᲘᲡ თვეთა მეᲧᲣᲔᲚᲔᲑᲨᲘ არიან ჩართულნი საქართვ. წმიდანები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ᲧᲯᲘᲗ 50 კ. და უᲧᲓᲝᲗ . . . 40 კ.
2. ᲬᲔᲡᲘ ᲬᲜᲔᲣᲚᲘᲡ ზიარებისა და ერცელი პანაშვიდისა, ფასი . . . . 10 კ,
3. ᲝᲪᲔᲡ ᲚᲗᲐ და ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲗᲐ მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ᲧᲯᲘᲗ) ფ. . 30—
4. ᲙᲝᲜᲓᲐᲙᲘ ᲘᲝᲐᲜᲔ ᲝᲥᲠᲝᲞᲝᲠᲘᲡᲘᲡ ᲬᲘᲠᲕᲘᲡᲐ ᲣᲧᲓᲝᲗ 40 კ. კარგი ᲧᲯᲘᲗ . . 60 »
5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და თორმეტი საუფლო დღეების ტროპარ-კონდაკებით ფ. . . . . 5 »

2, სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები.

1. დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე, რომელიც ᲠᲬᲛ. ᲡᲘᲜᲝᲓᲘᲡᲒᲐᲜ მოწონებულია როგორც სასწავლო საღმრთო სჯულისა საეკლესიო-სამრევლო და სხვა პირველ დასწყისა სკოლებში—ფასი . 30 კ.
2. იგივე დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებზედ რუსულს და ქართულს ენაზე ხმის ამაღლებ ს ნიშნებით—ფასი . . 55 კ.
3. დაწყებითი გაეთილები საღმრთო სჯულის სწავლებაზე, ფასი . . . 15—
4. ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება—ფასი . . . 40 კ.
5. მღვდელთთვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი ᲧᲯᲘᲗ . . . . 20 კ.
6. საქართველოს საეკლესიო ისტორია ფასი 45 კ.

3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯანმრთელობის დაცვაზე.

1. ახალა კარაბადინი, მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწონებული და ნება-დართულია კავკასიის საექიმო რჩევისაგან—ფასი . . . 1 მ.
2. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე, ფასი . . . 10—

4. შესანიშნავი მონასტრები და ეკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი,

1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ. განმანათლებელი, ფასი. . . 25 კ.
2. ᲑᲔᲚᲐᲗᲘᲡ მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებ. . 25 კ.

იგივე რუსულ ენაზე . . . 20 »

3. ᲨᲘᲝ მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი 5 კ.
4. ᲒᲗᲐᲕᲐᲠ-ᲛᲬ. ᲓᲐᲕᲘᲗ და ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ და ᲛᲝᲬᲐᲛᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ.—ფასი . 5 კ.

იგივე რუსულ ენაზე . . . . 10 კ.

5. ᲕᲐᲠᲫᲘᲘᲡ მონასტერი, ფასი . . 5 კ.
6. ᲛᲐᲠᲢᲕᲘᲚᲘᲡ მონასტერი . . . 2 კ.

5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა ხნეობრივ სწავლა დარიგებით.

1. ᲦᲕᲗᲘᲡ-ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ დამადება, სურათით . 2—
2. ᲢᲐᲫᲠᲐᲓ მიᲧᲕᲐᲜᲔᲑᲐ ღვთის-მშობლისა, ფ. . 2—
3. ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲘᲡᲐ და ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘᲡ-ᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘᲡᲐ ᲯᲯᲕᲐᲠᲘᲡᲐ, ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ. . . 2—
4. ᲨᲝᲑᲐ ᲣᲤᲚᲘᲡᲐ . . . . 2 კ.
5. ᲛᲘᲠᲫᲛᲐ ᲣᲤᲚᲘᲡᲐ, ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ.—ᲤᲐᲡᲘ . 2—
6. ᲮᲐᲠᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲚᲐᲓ ᲬᲛᲘᲓᲐ ᲦᲕᲗᲘᲡ-ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡᲐ 2—
7. ᲑᲖᲝᲑᲐ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲘ—ᲤᲐᲡᲘ . . . 2—
8. ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲐ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲘ—ᲤᲐᲡᲘ . . 2—
9. ᲛᲘᲫᲘᲜᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲚᲐᲓ ᲬᲛ. ᲦᲕᲗᲘᲡ-ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡᲐ, 2—
10. ᲮᲔᲚᲗᲣᲤᲔᲚᲘ ᲮᲐᲢᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ . . 3 კ.

6. მოწამენი, ღირსნი მამანი და დედანი საქართველოს ეკლესიისა, შესანიშნავი საქართველოს მეფენი და დედოფალნი:

1. წმიდა მოწამე რაჟდენი, სურათით, ფასი . 5 კ.
2. წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი 2—
3. მეფე Დავით მესამე აღმაშენებელი . 5—
4. Თამარ მეფე, სურათით . , 5—
5. გიორგი მთაწმიდელი . . . 10—
6. იოანნე ზედაზნელი . . . 5—
7. შუშანიკი . . . . . 3—
8. ქეთევან დედოფალი . . . 2—
19. არჩილ და ლუარსაბი . . . 5—
10. მეფე დავით III აღმაშენებელი , 5—
1. იგივე ვრცელი . . . . 15 »

7. რელიგიური და ზნეობრივი შინარსის წიგნები და საუბრები:

1. **ᲬᲛᲘᲓᲐᲜᲘ ᲛᲦᲕᲓᲔᲚ-ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲜᲘ: ᲑᲐᲡᲘᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ, ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘ ᲦᲕᲗᲘᲡ-ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲝᲐᲜᲜᲔ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘ,** სურათებით — ფასი 5—
2. როგორ უნდა ვმარხულობდეთ — ფასი . 3—
3. **ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲬᲛ. ᲛᲝᲪ. ᲡᲬᲝᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲘᲡ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠᲘᲡᲐ** . . 2—
4. ანდრია პირველწოდებული, ისტორიული პოემა აკაკისა, ფასი . . . . 5—
5. სიკვდილი მართლისა, **ᲙᲝᲜᲢᲝᲔᲚᲘ ᲞᲘᲚᲐᲢᲔᲡ ᲛᲔᲣᲚᲚᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ** . . . 5—

6 ხმა მოძღვრისა სამწყსოსადმი. საუბარის შესწავლა იესო ქრისტესი . . . . 3—
7 შვილების მოვალეობა მშობელთადმი . 3—
8 მშობლების მოვალეობა შვილთადმი . 3—
9 ვინ არიან ჩვენი ცხოვრების მტერნი და როგორ უნდა ვძლიოთ მათ . . . 3—
10 იუნჯებდით საუნჯესა ცათაშინა . . 3—
11 საუბარი ღვთის სიტყვაზე . . . 3—
12 — შრომაზე . . . . 3—
13. სამგვარი სიკვდილი . . . 5 »

8. მოთხრობანი დაბადებიდან.

1. **ᲛᲔᲤᲔ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ-ᲑᲠᲫᲔᲜᲘ** სურათით—ფ. 5—
2. მათერი (მოთხრობა დაბადებიდამ) სურ. 5—
3. სიბრძნე Იესო ძისა ზირაქისა, სურათით. . 5—
4. იობი . . . . . 5—

ხატები და მხატვრობანი.

იმეცოდინებიან პატარა იაფ-ფასიანი-ხატები ფიცარზე სამ-ოთხ გოჯიანი ფასი 5—10 კ. ხატები არიან მაცხოვრის, ივერიის ღვთის-მშობლის, წმიდა გიორგის, ანდრია მოციქულის, პირველ წოდებულისა და ათ თორმეტთა დღესასწაულთა. ვინც დაიბარებს ხატებს არა ნაკლებ ოცისა, იმათ ჩვენს საქართველოში ყველგან ფოსტის გასაგზავნი არა გარდახდება. ამასთან იმეცოდინება სქელ ქაღალდზე ნახატი წმიდა ნინასი, საქართველოს განმანათლებელისა ვარაყით 6+7 გოჯიანი ფასი 15 კ. ფოტო-ტიპიით დახატული წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე 6+5 გოჯიანი ფასი 5 კ. ამავე ზომისა და ამისთანავე სახით წმიდა ნინო ქართველთ განმანათლებელისა და დავით აღმაშენებელისა ფ. თითოსი 5 კ.

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა 30 კ. ვინც ორ კაპიკიან წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტით გასაგზავნს არ იხდის.

იმეცოდინება აგრეთვე მრავალი პატარა გულსაკიდი ხატები ფერგადუვალი ლითონისა, სახელდობრ: ნინოსი, დავით და კონსტანტინესი, დავით აღმაშენებლისა, თამარისა, ანდრია პირველ წოდებულისა და წმიდა გიორგისა, ფასი თითოსი 5 კ. ვინც ასს დაიბარებს ნაღდ ფულზე, მას გაგზავნით დაეთმობ. სამ მან. ესეთი იმეცოდინებიან ვერცხლისაც, ფასი 40 კ.

11. მხატვრობანი სასულიერო და საერო მოღვაწეთა.

1. შოთა რუსთაველი. . . . 25 კ.
2. აკაკი წერეთელი . . . . 25 კ.
3. თამარ მეფე . . . . 25 კ.

იმეცოდინება აგრეთვე შესავალ-გასავალის წიგნები და ყოველგვარი მოწმ. ბლანკები და ამოწერილობანი.

Შ Ი Ნ Ა Ა Რ Ს Ი:

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ: ქართული საეკკლესიო გალობის შესახებ. დეკ დ. ღამბაშიძე.—პირველი დათვალიერება და რევიზია იმერეთის ეპარქიის ეკკლესიებისა ყოვლად სამღვდელო ლეონიდის მიერ. დეკ. დ. ღ—ძე.—მღვდელი ნიკოლოზ ძიმისტარიშვილი (ნეკროლოგი).—მუზას (ლექსი) თ-დი რ. ჩიქოვანი.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

ᲡᲬᲐᲕᲚᲐ და **ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲐᲡᲐ** და **ᲙᲔᲗᲘᲚ-ᲖᲜᲔᲝᲑᲐᲖᲔ:** სიტყვა, თქმული 8 ენკენისთვეს გელათის მონასტრის ტაძარში ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლის დაბადების დღეს, იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის მიერ.

ᲡᲐᲔᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ და **ᲰᲘᲒᲘᲔᲜᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ:** ექიმის საუბარი გულისხმიერ მკითხველთან. ექიმი ვ. დ—ძე.—შეწირულებანი.—განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. Დ. Ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.
Дозволено цензурою 30 сентября *1902* г.
Типог. редакціи журн. „Пастырь" (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.